1962

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 10 (170) 10 აპრილი 1962 წელი

585

შ ი ნ ა ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

139. შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და სომალის რესპუბლიკას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

140. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების საკითხებზე სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

141. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თურქმენეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

142. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თურქმენეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება მეორე

143. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნ. მ. ტრაპშისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

139 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და სომალის რესპუბლიკას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და სომალის რესპუბლიკის მთავრობა,

ემყარებიან რა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და სომალის რესპუბლიკას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობას,

ხელმძღვანელობენ რა ურთიერთმისწრაფებით დაამყარონ და განავითარონ ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა, დამყარებული თანასწორობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და ორივე ქვეყნის ეროვნული ღირსებისა და სუვერენიტეტის სრული პატივისცემის პრინციპებზე, და სომალის რესპუბლიკის ეროვნული ეკონომიკის განვითარების გეგმების განხორციელებისათვის ხელისშეწყობისა და სომალის ხალხთა კეთილდღეობის ამაღლების მიზნით,

შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე:

მუხლი 1

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა, სომალის რესპუბლიკის მთავრობის სურვილების დასაკმაყოფილებლად, თანხმობას გამოთქვამს გაუწიოს ეკონომიური და ტექნიკური დახმარება სომალის რესპუბლიკას სოფლის მეურნეობის განვითარებაში სამი სახელმწიფო მეურნეობის მოწყობის გზით, მათ შორის, მარცვლეულისა მეცხოველეობის ჯიშთსაშენი ფერმებითა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მოსამზადებელი სკოლით; მებამბეობისა საირიგაციო მოწყობილობითა და ზეთოვანი კულტურების მეურნეობით; კაშხალის დაახლოებით 25 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურით, საზღვაო ნავსადგურის, კვების მრეწველობის სამი საწარმოს მშენებლობაში, კალისა და ტყვიის გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების ჩატარებაში, აგრეთვე მეცხოველეობის განვითარებისათვის საჭირო წყლის ჭაბურღილების გაბურღვაში და სხვა ობიექტების მშენებლობაში კრედიტის იმ თანხის ფარგლებში, რომელიც მიცემულია ამ შეთანხმებით.

ტექნიკური დახმარების სახეობებს, ვადებსა და მოცულობას თითოეული საწარმოსა და ობიექტის მიხედვით, მათ ნუსხასა და სიმძლავრეს მხარეები დააზუსტებენ მას შემდეგ, რაც მხარეთა ექსპერტები შეისწავლიან საჭირო

მონაცემებს, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობის ტექნიკურ და ეკონომიურ მიზანშეწონილობას. ამ მიზნით საბჭოთა ორგანიზაციები სომალში თავიანთ ანგარიშზე გაგზავნიან ექსპერტებს სომალის რესპუბლიკის შესაბამის ორგანიზაციებთან შეთანხმებული რაოდენობითა და ვადებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 2

ტექნიკურ დახმარებას საწარმოებისა და სხვა ობიექტების მშენებლობაში, რომელიც გათვალისწინებულია ამ შეთანხმების 1 მუხლით, საბჭოთა ორგანიზაციები განახორციელებენ საპროექტო-საძიებო სამუშაოების შესრულების, საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობისათვის, აგრეთვე გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო მოწყობილობის, სამშენებლო მექანიზმებისა და იმ მასალების მიწოდების გზით, რომლებიც არ შეიძლება გამოინახოს სომალის რესპუბლიკაში, მოწყობილობის მშენებლობაში, დამონტაჟებასა და აწყობაში და მისი საექსპლუატაციოდ გადაცემაში ტექნიკური დახმარების გაწევის გზით, რისთვისაც მხარეთა შორის შეთანხმებული ვადებითა და რაოდენობით სომალის რესპუბლიკაში გაიგზავნება საბჭოთა სპეციალისტები და კვალიფიციური მუშები. საბჭოთა ორგანიზაციები აგრეთვე დახმარებას გაუწევენ სომალის სპეციალისტთა მომზადებაში სომალის მოქალაქეთა ადგილზე, აგრეთვე სსრ კავშირის შესაბამის საწარმოებში სწავლების გზით იმ საწარმოებში სამუშაოდ, რომლებიც ამ შეთანხმების შესაბამისად აშენდება საბჭოთა კავშირის დახმარებით.

მუხლი 3

სომალის რესპუბლიკის მთავრობა სომალის შესაბამისი ორგანიზაციების მეშვეობით მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმებულ ვადებში უზრუნველყოფს:

დაპროექტებისათვის საჭირო საწყისი მონაცემების, აგრეთვე საინჟინერო გამოკვლევების გადაცემას საბჭოთა ორგანიზაციებისათვის იმ რაიონების მიხედვით, სადაც უნდა ჩატარდეს სამუშაოები;

საპროექტო დავალებების, კონტრაქტების პროექტების განხილვასა და დამტკიცებას და მათზე ხელის მოწერას;

საბჭოთა ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით ყველა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოს განხორციელებას საწარმოებსა და ობიექტებზე და გეოლოგიურ-საძიებო და სხვა სამუშაოების ჩატარებას, რომლებიც გათვალისწინებულია ამ შეთანხმებით, მუშახელით, საჭირო ადგილობრივი საშენი და სხვა მასალებით, რომლებიც შეიძლება გამოინახოს სომალში, ელექტროენერგიით, წყლით, ობიექტების ტერიტორიამდე მისასვლელი გზებისა და გარე საკომუნიკაციო ხაზების მშენებლობას, აგრეთვე სომალის მხრივ მომსახურების გაწევას და იმ ვალდებულებათა შესრულებას, რაც საჭიროა საბჭოთა ორ-

განიზაციების მიერ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ტექნიკური დახმარების განსახორციელებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 4

შესაბამისი საბჭოთა ორგანიზაციები სომალის რესპუბლიკის შესაბამის ორგანიზაციებს გადასცემენ ტექნიკურ დოკუმენტაციას, ინფორმაციას და ლიცენზიებს, რომლებიც საჭიროა იმ პროდუქციის წარმოების ორგანიზაციისათვის, რაც ამ შეთანხმების შესაბამისად აშენებულ საწარმოებსა და ობიექტებზეა გათვალისწინებული ტექნიკური პროექტებით. აღნიშნული დოკუმენტაციისა და წარმოებისათვის საჭირო ლიცენზიების გადაცემა განხორციელდება უსასყიდლოდ სომალის ორგანიზაციების მიერ საბჭოთა ორგანიზაციებისათვის მხოლოდ ფაქტიური დანახარჯების ანაზღაურებით, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დოკუმენტაციის დამზადებასა და გადაცემასთან.

გადასაცემი დოკუმენტაცია და ლიცენზიები გამოყენებულ იქნება სომალის რესპუბლიკაში მხოლოდ ზემოაღნიშნული პროდუქციის წარმოების მიზნით და არ გადაეცემა უცხოეთის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

გადახვევა აქედან შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ აღნიშნული საბჭოთა ორგანიზაციების თანხმობით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

მუხლი 5

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა სომალის რესპუბლიკის მთავრობას მისცემს კრედიტს 40 (ორმოცი) მილიონი მანეთის ოდენობით (ერთი მანეთი შეიცავს 0,987412 გრამ სუფთა ოქროს) წლიურ 2,5 პროცენტად საბჭოთა ორგანიზაციების მიერ შესრულებული საპროექტო-საძიებო და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების, სსრ კავშირიდან სომალში მიწოდებული მოწყობილობის, სამშენებლო მექანიზმებისა და მასალების ხარჯების ასანაზღაურებლად, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ შეთანხმების 2 მუხლში, სომალში საბჭოთა სპეციალისტების მივლინებასა და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად.

მუხლი 6

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა თანხმობას გამოთქვამს აგრეთვე უზრუნველყოს სომალის რესპუბლიკისათვის საბჭოთა საქონლის მიწოდება 7 (შვიდი) მილიონი მანეთის ოდენობით, იმისათვის, რომ ეს საქონელი რეალიზებულ იქნას სომალის რესპუბლიკაში და რეალიზაციით მიღებული ამონაგები სომალის რესპუბლიკის მთავრობამ გამოიყენოს ამ შეთანხების 1 მუხლით გათვალისწინებული საწარმოების მშენებლობისა და ჩასატარებელ სამუშაოთა ხარჯების დასაფინანსებლად ადგილობრივი ვალუტით.

ამ საქონლის ნომენკლატურა, რაოდენობა და ფასები, აგრეთვე მისი მიწოდების ვადები მხარეთა მიერ დადგენილ იქნება დამატებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 7

სომალის რესპუბლიკის მთავრობა ამ შეთანხმების 5 მუხლის თანახმად მიცემულ კრედიტს დაფარავს 12 წლის განმავლობაში თანაბარი ყოველწლიური შენატანებით, დაწყებული სსრ კავშირიდან თითოეული საწარმოსა და ობიექტისათვის კომპლექტური მოწყობილობის მიწოდებიდან ან ამ კრედიტის ანგარიშით განხორციელებულ სამუშაოთა დამთავრებიდან 1 წლის გასვლის შემდეგ.

ამ შეთანხმების 6 მუხლის შესაბამისად მიცემული სასაქონლო კრედიტის დაფარვას სომალის რესპუბლიკის მთავრობა აწარმოებს 5 წლის განმავლობაში თანაბარი ყოველწლიური შენატანებით, დაწყებული იმ წლიდან, რომელიც მოსდევს აღნიშნული სასაქონლო კრედიტის შესაბამისი ნაწილის გამოყენების წელს.

პროცენტები კრედიტებზე, რომლებიც მიცემულია ამ შეთანხმების 5 და 6 მუხლების შესაბამისად, წლიურ 2.5 პროცენტად დაირიცხება კრედიტის შესაბამისი გამოყენების თარიღიდან და გადახდილ უნდა იქნას წლის პირველი სამი თვის განმავლობაში, რომელიც მოსდევს პროცენტის დარიცხვის წელს. ამასთან მოწყობილობის, მანქანების, სამშენებლო მექანიზმების, მასალებისა და საქონლის ანაზღაურებაზე კრედიტის გამოყენების თარიღად ჩაითვლება კონოსამენტის თარიღი, ხოლო საძიებო სამუშაოებისა და ტექნიკური დახმარების სხვა სახეობათა ანაზღაურებაზე — ანგარიშის გამოწერის თარიღი.

საწარმოებისა და ობიექტებისათვის კომპლექტურ მიწოდებათა დამთავრების თარიღები ფიქსირებულ იქნება საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციათა წერილებში, რომლებიც შესაბამისი საწარმოსა და ობიექტისათვის მოწყობილობის გადმოტვირთვის უკანასკნელ კონოსამენტთან ერთად გაეგზავნება სომალის შესაბამის ორგანიზაციებს.

მუხლი 8

ამ შეთანხმების შესაბამისად მიცემული კრედიტების დაფარვას და მათზე დარიცხული პროცენტების გადახდას სომალის რესპუბლიკის მთავრობა აწარმოებს სსრ კავშირ-სომალის მოქმედი საგაჭრო ხელშეკრულების პირობებში სსრ კავშირში სომალის საქონლის მიწოდებით, ბამბის, ზეთოვან კულტურების თესლის, ტყავის ნიდლეულის ჩათვლით. კრედიტის ის ნაწილი, რომელიც არ იქნება დაფარული სომალის საქონლის მიწოდებით, დაიფარება კონვერსირებული ვალუტით, რომელიც განისაზღვრება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკსა, ან მისი დავალებით, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკსა და სომალის ეროვნულ ბანკს შორის შეთანხმებით.

კრედიტების დაფარვისა და პროცენტების გადახდის მორიგი წლის დაწყებამდე სამი თვით ადრე მხარეები თითოეული კალენდარული წლისათვის შეთანხმდებიან სომალის საქონლის მიწოდების ნომენკლატურაზე, ფასებზე მსოფლიო ბაზრის ბაზაზე და ვადებზე.

კრედიტების დაფარვისა და მათი პროცენტების თავისუფლად კონვერსი-რებული ვალუტით გადახდის დროს მანეთის გადაანგარიშება თავისუფლად კონვერსირებულ ვალუტაზე იწარმოებს გადახდის დღეს ამ ვალუტების [illegible]ბული პარიტეტის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 9

კრედიტების გამოყენების, დაფარვისა და მათზე დარიცხული პროცენტე-ბის გადახდის აღრიცხვის მიზნით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი, ან მისი დავალებით, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკი და სომალის ეროვნული ბანკი გახსნიან სპეციალურ საკრედიტო ანგარიშებს და ერთად დააწესებენ კრედიტებზე აღნიშნული ანგარიშებისა და ანგარიშსწორებათა წარმოების ტექნიკურ წესს.

მუხლი 10

ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ გეოლოგიურ-საძიებო და საპროექ-ტო-საძიებო სამუშაოების შესრულება, მოწყობილობის, მასალებისა და სა-ქონლის მიწოდება, საბჭოთა სპეციალისტების სომალის რესპუბლიკაში მივ-ლინება და სსრ კავშირში სომალის მოქალაქეთა სასწავლებლად მიღება საბ-ჭოთა ორგანიზაციების მიერ იწარმოებს კონტრაქტების საფუძველზე, რომლე-ბიც დაიდება ამაზე მხარეთა მიერ რწმუნებით აღჭურვილ საბჭოთა ორგანი-ზაციებსა და სომალის ორგანიზაციებს შორის.

ამ კონტრაქტებში დაწვრილებით იქნება განსაზღვრული ამ შეთანხმებით გათვალისწინებული მოწყობილობის, სამშენებლო მექანიზმების, მასალების მიწოდებისა და გასაწევი მომსახურების მოცულობა, ფასები, ვადები და სხვა პირობები.

მუხლი 11

იმ შემთხვევაში, თუ ღირებულება საბჭოთა ორგანიზაციების მომსახურე-ბისა, რომელიც ჩამოთვლილია ამ შეთანხმების 5 მუხლში, გადააჭარბებს კრე-დიტის აღნიშნულ თანხას 40 (ორმოცი) მილიონ მანეთს, მაშინ ნამეტ თანხას სომალის რესპუბლიკის მთავრობა აანაზღაურებს სსრ კავშირში სომალის სა-ქონლის მიწოდებით საბჭოთა კავშირ-სომალის მოქმედი სავაჭრო შეთანხმე-ბის პირობებში ან თავისუფლად კონვერსირებული ვალუტით, რომელიც განისაზღვრება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკსა ან, მისი დავალებით, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკსა და სომალის ეროვნულ ბანკს შორის შეთანხმებით

მუხლი 12

ეს შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას ორივე მხარის კანონების შესაბამისად და ძალაში შევა დროებით ხელის მოწერის დღეს და საბოლოოდ სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს.

დადებულია მოსკოვში 1961 წლის 2 ივნისს ორ დედან ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და იტალიურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის რწმუნებით ს. სკაჩკოვი.	სომალის რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით ა. მუჰამუდი.

* *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1961 წლის 18 ოქტომბერს; სომალის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ -- 1961 წლის 5 დეკემბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოგადიშოში 1962 წლის 10 თებერვალს.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

140 მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების საკითხებზე სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ცნობილ იქნას ძალადაკარგულად სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები თანახმად დანართისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 29 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 29 მარტის ბრძანებულებისა „მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების საკითხებზე სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“

ნუსხა

სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც დაკარგეს ძალა

1. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1925 წლის 16 იანვრის დადგენილება „საბჭოების გადარჩევის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1925 წელი, № 6, მუხლი 54).

2. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1925 წლის 16 იანვრის დადგენილება „საბჭოების გადარჩევის ინსტრუქციის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1925 წელი, № 6, მუხლი 55).

3. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1925 წლის 6 აპრილის დადგენილება „საბჭოების გადარჩევის ინსტრუქციის გამოყენების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1925 წელი, № 42, მუხლი 313).

4. სსრ კავშირის ცაკის 1925 წლის 2 ოქტომბრის დადგენილება „საბჭოებისა და საბჭოების ყრილობებზე არჩევნების წესის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1925 წელი, № 68, მუხლი 506), დამატებით (სსრ კავშირის კან. კრ., 1925 წელი, № 68, მუხლი 507).

5. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1925 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება „საბჭოების არჩევნების მომზადებისა და საარჩევნო კამპანიის ჩატარების თაობაზე მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ანგარიშგების შესახებ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1925 წელი, № 75, მუხლი 561).

6. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1926 წლის 28 სექტემბრის დადგენილება „საბჭოების არჩევნების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1926 წელი, № 66, მუხლი 500).

7. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1926 წლის 28 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია საბჭოების არჩევნების შესახებ (სსრ კავშირის კან. კრ., 1926 წელი, № 66, მუხლი 501), ცვლილებით (სსრ კავშირის კან. კრ., 1929 წელი, № 19, მუხლი 161).

8. 15 და 16 პუნქტები სსრ კავშირის ცაკის 1927 წლის 17 თებერვლის დადგენილებისა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შორის მიღებულ იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მე-18 მუხლის ძალით დამ-

ტკიცებულ უნდა იქნენ მე-3 მოწვევის სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის მიერ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1927 წელი, № 12, მუხლი 128).

9. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1930 წლის 22 მარტის დადგენილება „სსრ კავშირის საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1930 წელი, № 19, მუხლი 212).

10. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1930 წლის 3 ოქტომბრის დადგენილება „საბჭოების არჩევნების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1930 წელი, № 50, მუხლი 523).

11. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1930 წლის 3 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია საბჭოების არჩევნების შესახებ (სსრ კავშირის კან. კრ., 1930 წელი, № 50, მუხლი 524), დამატებით (სსრ კავშირის კან. კრ., 1933 წელი, № 21, მუხლი 117).

12. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 13 ნოემბრის დადგენილება „კოოპერაციაში კულაკებისა და ხმაჩამორთმეულთა არდაშვების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1930 წელი, № 56, მუხლი 591).

13. 9, 10 და 40 პუნქტები სსრ კავშირის ცაკის 1931 წლის 10 იანვრის დადგენილებისა „სსრ კავშირის ცაკის სესიებს შუა მიღებულ იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რაც სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-18 მუხლის საფუძველზე დამტკიცებულ უნდა იქნეს სსრ კავშირის ცაკის მე-5 მოწვევის მე-3 სესიის მიერ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 5, მუხლი 65).

14. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1931 წლის 3 ივლისის დადგენილება „გასახლებული კულაკების სამოქალაქო უფლებებში აღდგენის წესის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 44, მუხლი 298).

15. 21 პუნქტი სსრ კავშირის ცაკის 1931 წლის 28 დეკემბრის დადგენილებისა „სსრ კავშირის ცაკის სესიებს შუა მიღებულ იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რაც სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-18 მუხლის საფუძველზე დამტკიცებულ უნდა იქნეს სსრ კავშირის ცაკის მე-6 მოწვევის მე-2 სესიის მიერ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 75, მუხლი 504).

16. სსრ კავშირის ცაკის 1934 წლის 27 მაისის დადგენილება „ყოფილი კულაკების სამოქალაქო უფლებებში აღდგენის წესის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1934 წელი, № 33, მუხლი 257).

17. სსრ კავშირის ცაკის 1934 წლის 27 სექტემბრის დადგენილება „საბჭოების არჩევნების ინსტრუქციის ცვლილებათა და დამატებათა შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1934 წელი, № 50, მუხლი 394).

18. სსრ კავშირის ცაკის 1934 წლის 2 ოქტომბრის დადგენილება „სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქცია 1934-1935 წლებში საბჭოების არჩევნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1934 წელი, № 50, მუხლი 395).

19. სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 25 იანვრის დადგენილება „გადასახლებული კულაკების სამოქალაქო უფლებებში აღდგენის წესის თაობაზე სსრ კავშირის ცაკის 1931 წლის 3 ივლისისა და 1934 წლის 27 მაისის დადგენილე-

ბების დამატების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 7, მუხლი 57).

20. სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 20 ივლისის დადგენილება „ეროვნული ლაქეთა შესახებ, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 95 მუხლის წესით იბეგრებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, № 40, მუხლი 345).

21. სსრ კავშირის ცაკის 1937 წლის 9 ივლისის დადგენილება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ და თვით დებულება (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წელი, №43, მუხლი 182).

22. სსრ კავშირის ცაკის 1937 წლის 3 ოქტომბრის დადგენილება „ჩრდილოეთისა და მიმთაბარეობის რაიონებში და წვრილ დასახლებულ ადგილებში საარჩევნო უბნების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წელი, № 67, მუხლი 306).

23. სსრ კავშირის ცაკის 1937 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება „ნასამართლობის მქონე და გამოძიების ქვეშ მყოფ პირთა საარჩევნო სიებში შეტანის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წელი, № 69, მუხლი 315).

24. სსრ კავშირის ცაკის 1937 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება „გემებზე საარჩევნო უბნების მოწყობის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წელი, № 69, მუხლი 316).

25. სსრ კავშირის ცაკის 1937 წლის 1 ნოემბრის დადგენილება „შორეული მიმოსვლის სამგზავრო მატარებლებში საარჩევნო უბნების შექმნის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წელი, № 71, მუხლი 349).

26. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 5 თებერვლის ბრძანებულება „უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დასავლეთი ოლქების სოფელ ადგილებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების დროს „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 57 მუხლის გამოყენების წესის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 7).

27. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 5 თებერვლის ბრძანებულება „უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დასავლეთი ოლქებიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების საარჩევნო დოკუმენტების ფორმების დაწესებისა და საარჩევნო ყუთისა და ბეჭდების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 7).

28. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 11 ნოემბრის ბრძანებულება „ლიტვის სსრ-დან, ლატვიის სსრ-დან და ესტონეთის სსრ-დან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 7, 26, 49, 57 და 96 მუხლების გამოყენების წესის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 45).

29. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 11 ნოემბრის ბრძანებულება „მოლდავეთის სსრ-დან, უკრაინის სსრ აკერმანისა და

ჩერნოვიცის ოლქებიდან, ლიტვის სსრ-დან, ლატვიის სსრ-დან და ესტონეთის სსრ-დან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საუბნო, საოლქო და რესპუბლიკური საარჩევნო კომისიების საარჩევნო დოკუმენტების ფორმებისა და საარჩევნო ყუთისა და ბეჭდების ნიმუშების დაწესების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 45).

30. „ცალკეულ საარჩევნო ოლქებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების დროს საარჩევნო კამპანიის ვადის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 11 ნოემბრის ბრძანებულების 2 მუხლი (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 46).

31. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულება „მოლდავეთის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სსრ და უკრაინის სსრ იზმაილისა და ჩერნოვიცის ოლქებიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების ან მდივნების ძირითადი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წელი, № 51).

32. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებულება „ამომრჩეველთა სიებისა და „ხმის მიცემის უფლების მოწმობის“ ფორმების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1945 წელი, № 77).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბიორგაძე.

141 თურქმენეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისად სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ და სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონებისა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დადგინდეს, რომ სსრ კავშირის ქვემონაჩვენები საკანონმდებლო აქტები ძალადაკარგულად ჩაითვლება თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1962 წლის 1 მაისიდან ე. ი. რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღების მომენტიდან:

1. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 23 იანვრის დადგენილება „პასუხისმგებლობის შესახებ ისეთი დანაშაულისათვის, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს ტრანსპორტის მუშაობაში“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 4, მუხლი 44).

2. „სასაზღვრო ზოლებში შესვლისა და ცხოვრების თაობაზე“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 17 ივლისის დადგენილების მუხლი 3 (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 45, მუხლი 377);

3. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 სექტემბრის დადგენილება „სასაზღვრო ზოლებში შესვლისა და ცხოვრების თაობაზე“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 17 ივლისის დადგენილების შეცვლის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წელი, № 59, მუხლი 251);

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 9 აპრილის ბრძანებულება „სატვირთო მატარებლებით თვითნებური მგზავრობისათვის და საჭიროების გარეშე გასაჩერებელი ონკანით მატარებლის თვითნებურად გაჩერებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1941 წელი, № 16);

5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 2 მაისის ბრძანებულება „სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით და სამკერდე ნიშნებით უკანონოდ დაჯილდოებისათვის, ორდენების, მედლებისა და სამკერდე ნიშნების მითვისებისათვის და დაჯილდოებულ პირთა მიერ მათი სხვა

პირებზე გადაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1943 წელი, № 18);

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1947 წელი, № 19);

7. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1947 წელი, № 19);

8. სსრ კავშირის 1948 წლის 4 თებერვლის კანონი „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების თაობაზე „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 6);

9. სსრ კავშირის 1948 წლის 4 თებერვლის კანონი „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 6);

10. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 7 აპრილის ბრძანებულება „შინ გამოხდილი არყის დამზადებისა და გაყიდვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 14);

11. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 4 იანვრის ბრძანებულება „გაუპატიურებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ" (გაზეთი „ტურკმენსკაია ისკრა", 1949 წლის 8 იანვარი, № 5);

12. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 14 თებერვლის ბრძანებულება „ქვანახშირისა და ფიქალის შახტებში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ" (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

13. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების წვრილმანი დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ" (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

14. „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების მუხლი 6 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 1);

15. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 21 აპრილის ბრძანებულება „სასამართლოების მიერ საპატიმროებიდან ვადამდე და ვადამდე პირობით გათავისუფლების თაობაზე საქმეების განხილვის წესის შესახებ" (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

16. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 25 აპრილის ბრძანებულება „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეების განხილვის წესის შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 7) იმ ცვლილებებით, რომლებიც შეტანილია 2 მუხლით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებასა „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა, სამხარეო, საოლქო სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქების სასამართლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებასა და „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეთა განხილვის წესის თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 25 აპრილის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 17);

17. „მოხეტიალე ბოშების შრომაში ჩაბმის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებულების მუხლი 3 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1956 წელი, № 21);

18. „სატრანსპორტო სასამართლოების გაუქმების თაობაზე" სსრ კავშირის 1957 წლის 12 თებერვლის კანონის გამოყენების წესის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 29 მარტის დადგენილების მუხლი 1 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 8) იმ ნაწილში, რომელიც ეხება განსჯადობის განსაზღვრას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 2 აპრილი.

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

142 თურქმენეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ

თურქმენეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინებასთან დაკავშირებით და იმის გათვალისწინებით, რომ 1962 წლის 1 მაისიდან სამოქმედოდ შემოიღება თურქმენეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო ახალი კოდექსები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლის თანახმად 1962 წლის 1 მაისიდან სასამართლოებმა სასჯელის ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან 1962 წლის 1 მაისიდან ძალადაკარგულად ცნობილი სსრ კავშირის კანონების მიხედვით დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია თურქმენეთის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მოიყვანონ თურქმენეთის სს რესპუბლიკის 1961 წლის 22 დეკემბრის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისობაში, თუ ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის უფრო მსუბუქი ზომები.

2. ნება მიეცეს თურქმენეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დააწესოს, რომ თურქმენეთის სს რესპუბლიკის 1961 წლის 22 დეკემბრის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებისას სასჯელის ზომის შემსუბუქება არ იქნას გავრცელებული:

იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულისათვის, ბანდიტიზმის, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისა და ყაჩაღობისათვის;

განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებზე;

იმ პირთა მიმართ, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი და რომელნიც სასჯელის მოხდის პერიოდში არ დაადგნენ გამოსწორების გზას — ბოროტად არღვევენ რეჟიმს ან სისტემატურად არიდებენ თავს სამუშაოს, ან ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, —

თუ განაჩენები ჩამოთვლილ პირთა მიმართ ძალაში შევიდა 1962 წლის 1 მაისამდე, ე. ი. თურქმენეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე.

3. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს დაავალდებულონ მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროები უზრუნველყონ სასამართლოებისათვის, რომელთაც გამოიტანეს განაჩენები, საჭირო მონაცემების წარდგენა იმ პირებზე, რომელნიც მსჯავრდებულნი არიან თურქმენეთის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის და სასჯელს იხდიან სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 2 აპრილი.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

143 **ნ. მ. ტრაპუისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგეს ამხ. ნელი მიხეილის ასულ ტრაპუს მიენიჭოს საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წლის 2 აპრილი.